



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში

სახელმწიფო აუდიტის სამსახური



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვამტკიცებ“

აუდიტის დეპარტამენტი
აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში
დეპარტამენტის უფროსი

ნოე ქაშიბაძე

25 დეკემბერი 2023 წელი

N 58/36

ეგზ.: N 1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	შემაჯამებელი მიმოხილვა	3
	რეკომენდაციები	5
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	7
	აუდიტის კრიტერიუმები	7
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	10
	დანართი	15
	საკონტაქტო ინფორმაცია	17

დანართები

ტერმინები და შემოკლებები

ა/რ – ავტონომიური რესპუბლიკა.

ა(ა)იპ – არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

სამინისტრო – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

სააგენტო – ა(ა)იპ – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტო.

იგპ – იმულებით გადაადგილებული პირი.

შემაჯამებელი მიმოხილვა

პროგრამის ფარგლებში გაცემული აქტივები

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შესაბამისობის აუდიტი. აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

მასშტაბის შეზღუდვა

სააგენტოს მიერ 2022 წელს აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე, პროგრამების ფარგლებში მიწოდებულია სხვადასხვა სახის სამედიცინო ტექნიკა და მედიკამენტები. სააგენტოს მიერ მონიტორინგის მიზნით განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, რადგან ვერ ხერხდება აქტივებთან დაკავშირებით ფიზიკური შემოწმება/დადასტურება, აუდიტის ჯგუფი ვერ იღებს სათანადო რწმუნებას, როგორც ამ აქტივების (მოწყობილობების) არსებობის შესახებ, ასევე მედიკამენტების ბენეფიციარებზე გადაცემის თაობაზე.

შიდა კონტროლის სისტემა

სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზები

სამინისტრომ 2022 წელს სამედიცინო საგნებსა და მომსახურებაზე გამოაცხადა, ჯამში – 1,304,070 ლარის¹ სავარაუდო ღირებულების 31 ელექტრონული ტენდერი, რომელთაგან არ შედგა ხუთი ტენდერი, ხოლო სამი ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ტენდერების რაოდენობის ფარგლებში, იმავე შესყიდვის საგანზე, იდენტური სატენდერო პირობებით სამინისტრომ გამოაცხადა ახალი ტენდერები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სავარაუდო მომწოდებლებმა და საბოლოოდ ჯამში გამოცხადდა და შედგა 790,470 ლარის სავარაუდო ღირებულების 23 ტენდერი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სამინისტროს მიერ პოტენციურ მომწოდებლებთან არასაკმარის კომუნიკაციაზე. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ექვსი ტენდერის შემთხვევაში, დაფიქსირდა წინადადების საბოლოო ფასი – შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, 20%-ით ან მეტით ნაკლები ღირებულება. ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე, შემსყიდველმა გარდა პოტენციურ მიმწოდებლებთან კომუნიკაციისა, უნდა ჩაატაროს ბაზრის კვლევა. კერძოდ, გარდა სავარაუდო მიმწოდებლებისგან წერილობით მიღებული ინფორმაციისა, ასევე უნდა უზრუნველყოს წარსულში გამოცხადებული მსგავსი ან იდენტური ელექტრონული ტენდერების ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს, დაგეგმვის ეტაპზე ადეკვატურად და რეალისტურად განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

პროგრამების შესრულების ნაკლოვანებები

სამინისტროს აპარატისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს პროგრამების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2022 წელს სამინისტროსა და სააგენტოს აუთვისებული დარჩა თანხები,² რის გამოც სრულად არ იქნა გამოყენებული საბიუჯეტო რესურსი.

¹ რომელშიც შედის უარყოფითი შედეგით დასრულებული და არშემდგარი ტენდერები 513,600 ლარის სავარაუდო ღირებულებით.

² 51,413 ლარი.

პროგრამების განხორციელების ნაკლოვანებები

2022 წელს პროგრამების მიმდინარეობისას არ ხორციელდებოდა სათანადო კონტროლი, კერძოდ სამინისტროსა და სააგენტოს მიერ არ იყო დამტკიცებული შესაბამისი ფორმა, რომლითაც მოხდებოდა კოორდინატორების მიერ შესრულებული სამუშაოს იდენტიფიცირება; ასევე არ იყო დამტკიცებული კოორდინატორების მიერ 2022 წელს პრაქტიკაში გამოყენებული დოკუმენტები, რომელთა მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ბენეფიციართა აღრიცხვა და მათი დოკუმენტაციის კონტროლის დადოკუმენტირება. შესაბამისად, არაფორმალიზებული, ფაქტობრივად არსებული არასრული დოკუმენტირება არ იძლევა მთლიანობაში შემოსული განცხადებების კონტროლისა და მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების მიზეზების ანალიზის შესაძლებლობას.

რეკომენდაციები

რეკომენდაცია N1.

სამინისტროს

სამინისტროს აპარატმა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების დაგეგმვის პროცესში ბაზრის კვლევის რამდენიმე მეთოდით განხორციელებას, მათ შორის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებას შესყიდვის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშების პროცესში; ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პოტენციურ მომწოდებლებთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს არშემდგარი ტენდერების რაოდენობას.

რეკომენდაცია N2.

სამინისტროს, სააგენტოს

სამინისტროს აპარატმა და სააგენტომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დოკუმენტირების ფორმა, რომელიც დაადასტურებს როგორც პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის სისრულეს პროგრამის ბენეფიციარების/პოტენციური ბენეფიციარების შესახებ.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის განმახორციელებელი ორგანიზაციების ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე; ასევე აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამოებს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად.

აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტის ანგარიშში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამოები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამოების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.

აუდიტის საგანი

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში რესპუბლიკური ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტის – „მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა“ ფარგლებში

პროგრამების (ქვეპროგრამების) შესრულებისა და საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა.

აუდიტის მასშტაბი

აუდიტმა მოიცვა 01.01.2022 – 31.12.2022 წლების პერიოდი.

აუდიტის კრიტერიუმები

აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:

- საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი;
- საქართველოს საგადასახადო კოდექსი;
- საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
- საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამსახურის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“;
- საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“;
- საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისის N414 ბრძანებულება „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 მარტის N133 დადგენილება „ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბების წესისა და პროცედურების შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 5 აპრილის N99 ბრძანება „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაციის დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესის შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 20 სექტემბრის N7 ბრძანება „შესყიდვის ობიექტების იდენტიფიცირებისა და ერთგვაროვნების დადგენის წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანებით დამტკიცებული „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესი“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის N12 ბრძანება „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“;
- სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია“;

- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „ნორმატიული აქტების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის კანონი „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2013 წლის 13 მარტის N5 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და კოდებს შორის თანხების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 22 მარტის N15 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2021 წლის 25 თებერვლის №/ს-41 ბრძანება „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – აფხაზეთის სამედიცინო დაწესებულებებთან კოორდინაციის სააგენტოს შექმნის შესახებ“.

აუდიტის მიზანი

ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;

ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- აუდიტის ობიექტის ბიზნესპროცესებზე დაკვირვება;
- აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- აუდიტის ობიექტის საქმიანობასთან დაკავშირებული მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზებისა და დოკუმენტური ანალიზი);
- განხორციელებული ოპერაციების დოკუმენტური შემოწმება;
- აუდიტის ობიექტის არაფინანსური აქტივების დათვალიერება;
- ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- აღნიშნულ სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

სამინისტროს ძირითად ამოცანებსა და ფუნქციებს³ განეკუთვნება: აფხაზეთის მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველსაყოფად შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება და საქმიანობის კოორდინაცია; იგპ-თა (აგრეთვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებთა) ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის მიმართული საქმიანობის წარმართვა; სამინისტროს მმართველობაში არსებული სამედიცინო დაწესებულებების სამედიცინო ტექნიკური ნაკეთობებით, მედიკამენტებით, ინვენტარით და სხვა საშუალებებით მომარაგების ხელშეწყობა; ინდივიდუალური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა; საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა; დაქვემდებარებული სამედიცინო დაწესებულებების სახელმწიფო (ცენტრალური) და სხვა ჯანდაცვის პროგრამების კოორდინირებაში მონაწილეობა; ასევე სამინისტრო მის სისტემაში შემავალი სააგენტოს მეშვეობით უზრუნველყოფს ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო დაწესებულებების⁴ საქმიანობის კოორდინაციასა და მართვას. სამინისტროს დაფინანსების წყაროა აფხაზეთის ა/რ რესპუბლიკური ბიუჯეტი.

სამინისტროსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს მიერ 2022 წელს განხორციელებული პროგრამების ფარგლებში გაწეული ხარჯების შესახებ დეტალური ინფორმაცია იხ. ცხრილში N1.

ცხრილი N1. 2022 წელს განხორციელებული პროგრამების ხარჯები (ლარი)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა ბიუჯეტით (დაზუსტებული)	ხარჯი ხაზინით	გეგმის შესრულება %
სამინისტროს მიერ განხორციელებული პროგრამები				
05 03	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ამბულატორიული დახმარება	504 606	500 479	99%
05 04	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ჰოსპიტალური დახმარება	174 840	168 942	97%
05 06	აფხაზეთიდან დევნილ და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური მხარდაჭერა	897 554	884 324	99%
05 07	აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება	5 000	4 500	90%
სააგენტოს მიერ განხორციელებული პროგრამები				
05 08 02	„აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის, კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერა“	15 000	14 995	100%
05 08 03	„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურება“	110 000	95 471	87%
05 08 04	„სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება“	25 000	12 980	52%
05 08 05	„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა“	25 000	23 896	96%

³ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2021 წლის 22 მარტის N15 დადგენილება „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“.

⁴ საბერიოს საექიმო ამბულატორია, სამინისტროს სისტემაში შემავალი ა(ა)იპ – გალის ცენტრალური რაიონული საავადმყოფო, ა(ა)იპ – გალის რაიონის სოფ. ნაბაკევის საექიმო ამბულატორია, ა(ა)იპ – გალის რაიონის სოფელ ოტობაის საექიმო ამბულატორია, ა(ა)იპ – გალის რაიონის სოფელ ზემო ბარდების საექიმო ამბულატორია და ა(ა)იპ – გალის რაიონის სოფელ რეფის საექიმო ამბულატორია.

2. აუდიტის მიგნებები

2.1 პროგრამის ფარგლებში გაცემული აქტივები

2.1.1 მასშტაბის შეზღუდვა

კრიტერიუმი: ფინანსური კონტროლის შესახებ კანონით,⁵ ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემა ინერგება ფინანსური მართვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესის გაუმჯობესებისათვის, დაწესებულების მიზნების მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, რაც ხორციელდება შემდეგი საშუალებებით: სახსრებისა და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. ეფექტიანობა არის დაგეგმილი შედეგებისა და დასახული მიზნების მიღწევის შეფასება, რაც გულისხმობს მიღწეული მიზნებისა და შედეგების განხორციელებულ ღონისძიებებთან კავშირს.

ფაქტობრივი გარემოება: სააგენტოს მიერ 2022 წელს განხორციელდა შემდეგი პროგრამები:

- ✓ „აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერა“;
- ✓ „ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვის პროგრამა“.

აღნიშნული პროგრამები ითვალისწინებდა სხვადასხვა სახის სამედიცინო ტექნიკისა და მედიკამენტების შეძენას და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მიწოდებას. მიღებული აქტივების დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტებზე ხელს აწერენ აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მყოფი პირები.⁶ უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოში დასტურდება აღნიშნული აქტივების გადაცემის ფაქტი შესაბამისი დოკუმენტაციით (მიღება-ჩაბარების აქტები, ფოტოსურათები, ვიდეომასალები). პროგრამების ფარგლებში შეძენილი და შემდგომ გადაცემული აქტივების ღირებულებამ შეადგინა 38,054 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ გადაცემის შემდგომ სააგენტოს მიერ მონიტორინგის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები (სააგენტოს მიღებული/მოპოვებული აქვს გალის ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული სამედიცინო მოწყობილობების ფოტო და ვიდეომასალა, განხორციელებულია სატელეფონო საუბრები მედიკამენტების მიმღებ ზოგიერთ ბენეფიციართან). მიუხედავად აღნიშნულისა, რადგან ვერ ხერხდება აქტივებთან დაკავშირებით ფიზიკური შემოწმება/დადასტურება, აუდიტის ჯგუფი ვერ იღებს სათანადო რწმუნებას, როგორც ამ აქტივების (მოწყობილობების) არსებობის შესახებ, ასევე მედიკამენტების ბენეფიციარებზე გადაცემის თაობაზე.

დასკვნა

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან აქტივები გაიცა ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე (შესაბამისი ობიექტური მიზეზების გამო⁷) აუდიტის ჯგუფი ვერ ადასტურებს აღნიშნული აქტივების (სამედიცინო მოწყობილობების) როგორც არსებობას, ასევე მედიკამენტების ბენეფიციარებზე გადაცემის ფაქტებს.

შიდა კონტროლის სისტემა

კრიტერიუმი: შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის მიხედვით, „შემსყიდველი ორგანიზაცია შესყიდვებს ახორციელებს მხოლოდ წინასწარ

⁵ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ფ“ ქვეპუნქტი და მუხლი 6, პუნქტი 1, „გ“ ქვეპუნქტი.

⁶ აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი აშშ-ს საგარეო უწყებებისა და გალის ცენტრალური საავადმყოფოს წარმომადგენლები.

⁷ ვერ ხერხდება ოკუპირებულ ტერიტორიაზე გასვლა და ფიზიკური დათვალიერება/გამოკითხვა.

2.3 სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვის ხარვეზები

დამტკიცებული და რეგისტრირებული გეგმის შესაბამისად⁸ შემსყიდველ ორგანიზაციებს ეძლევათ რეკომენდაცია, ბაზრის კვლევა განახორციელონ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მეთოდით მაინც: არანაკლებ ორ პოტენციურ მიმწოდებელთან კომუნიკაციით (მათ შორის, პირისპირ, ტელეფონით ან ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებების მეშვეობით) და მათგან საჭირო დოკუმენტაციის (მათ შორის, წერილობითი შეთავაზების, ინვოისის და სხვ.) გამოთხოვით; არანაკლებ ორი პოტენციური მიმწოდებლის მიერ ინტერნეტსივრცეში განთავსებული ინფორმაციის ანალიზით; მსგავსი ან იდენტური მახასიათებლების შესყიდვის ობიექტის შესყიდვის მიზნით, წინა წლებში გამოცხადებული სამი არანაკლებ ორი ელექტრონული ტენდერის ანალიზით. ელექტრონული ტენდერის გამოცხადებისას, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ბაზრის კვლევის შედეგად მოკვლეული (ადეკვატური, რეალისტური) ფასების საშუალო არითმეტიკულს.⁹

ფაქტობრივი გარემოება: აფხაზეთის ა/რ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ 2022 წელს სამედიცინო საგნებსა და მომსახურებაზე გამოაცხადა, ჯამში – 1,304,070 ლარის¹⁰ ღირებულების, 31 ელექტრონული ტენდერი, რომელთაგან არ შედგა ხუთი ტენდერი, რადგან მონაწილეობა არ მიიღო არცერთმა პოტენციურმა მიმწოდებელმა, ხოლო სამი ტენდერი პრეტენდენტების დისკვალიფიკაციის გამო, დასრულდა უარყოფითი შედეგით (იხ. ცხრილი N2), თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ტენდერების რაოდენობის ფარგლებში, იმავე შესყიდვის საგანზე, იდენტური სატენდერო პირობებით სამინისტრომ გამოაცხადა ახალი ტენდერები, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს სავარაუდო მომწოდებლებმა და საბოლოოდ ჯამში გამოცხადდა და შედგა 790,470 ლარის სავარაუდო ღირებულების 23 ტენდერი. აღნიშნული ფაქტი მიუთითებს სამინისტროს მიერ პოტენციურ მომწოდებელთან არასაკმარის კომუნიკაციაზე, რომლის განხორციელების შემთხვევაშიც შესაძლებელი იქნებოდა არშემდგარი ტენდერების დადებითი შედეგით დასრულება, რაც ხელს შეუწყობდა ბენეფიციარებისთვის აღნიშნული მომსახურების დროულად გაწევის შესაძლებლობას.

ცხრილი N2. 2022 წელს არშემდგარი/უარყოფითი შედეგით დასრულებული ტენდერები

NAT	სავარაუდო ღირებულება	პრეტ. რაოდენობა	ბოლო შეთავაზება	შედეგი
NAT220001798	10 000	„ნიუ ჰოსპიტალსი“ ავერსის კლინიკა	9 834 6 450	დასრულდა უარყოფითი შედეგით.
NAT220001797	30 000	„ნიუ ჰოსპიტალსი“	29 040	დასრულდა უარყოფითი შედეგით.
NAT220001567	70 000	„ნიუ ჰოსპიტალსი“	53 131	დასრულდა უარყოფითი შედეგით.
NAT220006427	30 000	-	-	ტენდერი არ შედგა
NAT220020107	3 600	-	-	ტენდერი არ შედგა
NAT220001566	170 000	-	-	ტენდერი არ შედგა
NAT220002846	170 000	-	-	ტენდერი არ შედგა

⁸ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“, მუხლი 9, პუნქტი 1 და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N2 ბრძანება „შემსყიდველი ორგანიზაციის ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 4, პუნქტი 1.

⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციები ელექტრონული ტენდერის ჩატარებისას ბაზრის კვლევის განხორციელებასთან დაკავშირებით.

¹⁰ რომელშიც შედის უარყოფითი შედეგით დასრულებული და არშემდგარი ტენდერები 513,600 ლარის სავარაუდო ღირებულებით.

NAT220005241

30 000

-

- ტენდერი არ შედგა

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ექვსი ტენდერის შემთხვევაში (იხ. ცხრილი N3) დაფიქსირდა წინადადების საბოლოო ფასი, ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე 20%-ით ან მეტით ნაკლები შესყიდვის ღირებულებით. კერძოდ, ექვსი ტენდერის შემთხვევაში დაფიქსირებულმა ფასთა კლებამ, ჯამში შეადგინა – 46,989 ლარი. ელექტრონული ტენდერის გამოცხადებამდე შემსყიდველმა, გარდა პოტენციურ მიმოწოდებლებთან კომუნიკაციისა, უნდა ჩაატაროს ბაზრის კვლევა. კერძოდ, გარდა სავარაუდო მომწოდებლებისგან წერილობით მიღებული ინფორმაციისა, ასევე უნდა გააანალიზოს წარსულში გამოცხადებული მსგავსი ან იდენტური ელექტრონული ტენდერები, რაც ხელს შეუწყობს – დაგეგმვის ეტაპზე ადეკვატურად და რეალისტურად განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება.

ცხრილი N3. 2022 წელს მაღალი ფასთა კლებით ჩატარებული ტენდერები

NAT	სავარაუდო ღირებულება	მიმოწოდებელი	ხელ.საბ.ღირებულება	ფასთა კლება %
NAT220001565	60 000	„ნიუ ჰოსპიტალსი“	39 342	34%
NAT220010018	30 000	შპს „დენტალ სტუდიო“	23 920	20%
NAT220008529	6 800	სს „გეფა“	3 084	55%
NAT220008526	23 200	შპს „მედინიუსი“	18 125	22%
NAT220007971	18 000	ი/მ მაია გრემელაშვილი	10 260	43%
NAT220012879	7 000	შპს „მედიქალ ვორლდ დიაგნოსტიკი“	3 280	53%

დასკვნა

ზემოაღნიშნული ფაქტები მიუთითებს სამინისტროს მიერ ბაზრის კვლევისა და შესყიდვების დაგეგმვის პროცესში არასათანადო და არასაკმარისი ღონისძიებების გატარებაზე.

რეკომენდაცია N1

სამინისტროს აპარატმა შეიმუშაოს კონტროლის ისეთი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს შესყიდვების დაგეგმვის პროცესში ბაზრის კვლევის რამდენიმე მეთოდით განხორციელებას, მათ შორის, წინა წლების გამოცდილების გათვალისწინებას შესყიდვის სავარაუდო ღირებულების გაანგარიშების პროცესში; ასევე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს პოტენციურ მომწოდებლებთან კომუნიკაციის ეფექტიანი მექანიზმის დანერგვა, რომელიც მინიმუმამდე შეამცირებს არშემდგარი ტენდერების რაოდენობას.

2.4 პროგრამების შესრულების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: პროგრამული მეთოდოლოგიის¹¹ მოთხოვნების მიხედვით, პროგრამების საბოლოო შედეგებზე პასუხისმგებელია მთლიანად მხარჯავი დაწესებულება და მისი მენეჯმენტი, ვინაიდან სწორედ ისინი გეგმავენ და მართავენ პროგრამებს, ხოლო პროგრამების ფარგლებში დაგეგმილი ქვეპროგრამების და ღონისძიებების შედეგების მიღწევაზე პასუხისმგებელი უნდა იყოს მისი განმახორციელებელი საბიუჯეტო ორგანიზაცია (ან მისი რომელიმე სტრუქტურული ერთეული, ვისაც უშუალოდ ევალება ქვეპროგრამის (ღონისძიების) განხორციელება).

¹¹ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2011 წლის 8 ივლისის N385 ბრძანების „პროგრამული ბიუჯეტის შედგენის მეთოდოლოგიის დამტკიცების თაობაზე“, მეშვიდე თავი, პუნქტი 2.7.

ფაქტობრივი გარემოება: სამინისტროს აპარატისა და მის დაქვემდებარებაში მყოფი სააგენტოს პროგრამების ანალიზით გამოვლინდა, რომ 2022 წელს სამინისტროს აპარატს პროგრამების ფარგლებში აუთვისებელი დარჩა 23,755 ლარი, ხოლო სააგენტოს – 27,658 ლარი (იხ. ცხრილი N4).

ცხრილი N4. 2022 წლის პროგრამების მიხედვით აუთვისებელი თანხები (ლარი)

პროგრამული კოდი	პროგრამის დასახელება	გეგმა ბიუჯეტით (დაზუსტებული)	ხარჯი ხაზინით	გეგმის შესრულება %	აუთვისებელი თანხები
05 03	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ამბულატორიული დახმარება	504 606	500 479	99%	4 127
05 04	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ჰოსპიტალური დახმარება	174 840	168 942	97%	5 898
05 06	აფხაზეთიდან დევნილ და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური მხარდაჭერა	897 554	884 324	99%	13 230
05 07	აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებულ აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება	5 000	4 500	90%	500
სულ		1 582 000	1 558 245		23 755
05 08	ა(ა)იპ-ის მიერ განხორციელებული პროგრამები	175 000	147 342	84%	27 658
სულ		175 000	147 342		27 658
სულ ჯამი		1 757 000	1 705 587		51 413

დასკვნა

არასაკმარისი კონტროლის ღონისძიებების გამო, სამინისტროს აპარატსა და სააგენტოში დაფიქსირდა აუთვისებელი თანხები,¹² რის გამოც სრულად არ იქნა გამოყენებული საბიუჯეტო რესურსი.

2.5 პროგრამების განხორციელების ნაკლოვანებები

კრიტერიუმი: მოქმედი კანონმდებლობით,¹³ შიდა კონტროლის სისტემა მოიცავს ორგანიზაციულ სტრუქტურას, მეთოდებს, პროცედურებს, რომელთა მიზანია ორგანიზაციამ კანონიერად, გამჭვირვალედ, ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად წარმართოს თავისი საქმიანობა და რომლის ჩამოყალიბებისათვის პასუხისმგებელნი არიან დაწესებულების ხელმძღვანელები; ისინი ასევე უზრუნველყოფენ დაწესებულების მიერ განხორციელებული ყველა ოპერაციის სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულარულად აღრიცხვის პროცედურების დანერგვას.

ფაქტობრივი გარემოება: სამინისტრო, სააგენტო

2022 წელს პროგრამების მიმდინარეობისას არ ხორციელდებოდა სათანადო კონტროლი, კერძოდ, სამინისტროს აპარატისა და სააგენტოს მიერ არ იყო დამტკიცებული შესაბამისი ფორმა (მაგალითად, განცხადებების რეესტრი), რომლითაც მოხდებოდა კოორდინატორთა მიერ მოქალაქეების განცხადებების შესწავლისა და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამის მოთხოვნებთან შესაბამისობის (მაგალითად, წარმოდგენილი პირადობის მოწმობა, დევნილის მოწმობა, სამედიცინო ფორმა N100 და სხვ.) დადგენის პროცედურის იდენტიფიცირება. შესაბამისად, კოორდინატორების მიერ შესრულებული

¹² 23,755 + 27,658=51,413 ლარი.

¹³ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“, მუხლი 2, „ე“ ქვეპუნქტი; მუხლი 8, „თ“ ქვეპუნქტი.

სამუშაოს იდენტიფიცირება ვერ ხერხდება; ასევე სამინისტროს აპარატის მიერ არ იყო დამტკიცებული კოორდინატორების მიერ 2022 წელს პრაქტიკაში გამოყენებული დოკუმენტები, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ბენეფიციართა აღრიცხვა და მათი დოკუმენტაციის კონტროლის დადოკუმენტირება. ძირითადად, პრაქტიკულად წარმოებული რეესტრები იყო არასრული, რადგან არ მოიცავდა ინფორმაციას იმ ბენეფიციარების შესახებ, რომელთა საკითხის განხილვა კომისიაზე არ მოხდა, თუმცა განცხადება შემოტანილი ჰქონდათ. უნდა აღინიშნოს, რომ არსებობდა დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (e-Document), სადაც რეგისტრირდებოდა ყველა შემოსული განცხადება, თუმცა ელექტრონული სისტემა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მივიღოთ იმ პირთა სია, რომლებიც დაფინანსდნენ კონკრეტული პროგრამისა თუ კომპონენტის ფარგლებში. აღნიშნული კი არ იძლევა პროგრამებისა და კომპონენტებისათვის მთლიანობაში შემოსული და დაფინანსებული/დაუფინანსებელი განცხადებების კონტროლისა და მათი მოთხოვნების, თუ მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების მიზეზების ანალიზის შესაძლებლობას.

დასკვნა

არაფორმალიზებული, ფაქტობრივად არსებული არასრული დოკუმენტირება არ იძლევა მთლიანობაში შემოსული განცხადებების კონტროლისა და მიღებული უარყოფითი გადაწყვეტილებების მიზეზების ანალიზის შესაძლებლობას.

რეკომენდაცია N2

სამინისტრომ და სააგენტომ შეიმუშაოს და დაამტკიცოს დოკუმენტირების ფორმა, რომელიც დაადასტურებს, როგორც პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელი პირების მიერ შესრულებულ სამუშაოს, ასევე უზრუნველყოფს ინფორმაციის სისრულეს, პროგრამის ბენეფიციარების/პოტენციური ბენეფიციარების შესახებ.


აუდიტორები

მიხეილ გოდოლაძე
წამყვანი აუდიტორი

ეთერ კაცაძე
უფროსი აუდიტორი

ნინო ბრეგვაძე
აუდიტორი

ხელმოწერა



დანართი

სამინისტროსა და სააგენტოს მიერ 2022 წელს განხორციელებული პროგრამების ხარჯები დაგეგმილ და დაზუსტებულ ბიუჯეტთან მიმართებით

კოდი	პროგრამის დასახელება	ქვეპროგრამის დასახელება	გეგმა ბიუჯეტით	გეგმა ბიუჯეტით (დაზუსტებული)	ხარჯი ხაზინით
05 03 01		კომპიუტერული, ტომოგრაფიული გამოკვლევები.	70 000	76 865	73 925
05 03 02		ბირთვული მაგნიტურ - რეზონანსული ტომოგრაფიული გამოკვლევები.	170 000	228 540	228 540
05 03 03		ენდოსკოპიური გამოკვლევები.	20 000	20 000	20 000
05 03 04		სარეაბილიტაციო და აბილიტაციური მკურნალობა.	30 000	73 466	72 660
05 03 05	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ამ ბულატორიული დახმარება	ინსტრუმენტული გამოკვლევები.	20 000	22 775	22 594
05 03 06		ლაბორატორიული გამოკვლევები.	10 000	11 360	11 360
05 03 07		ოფთალმოლოგიური პროფილის პათოლოგიათა ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობა.	30 000	29 280	29 280
05 03 08		დასავლეთ საქართველოს რეგიონში კომპიუტერული ტომოგრაფიული გამოკვლევები.	10 000	10 000	10 000
05 03 09		ორთოპედიული (სტომატოლოგიური პროთეზირება) მომსახურება.	30 000	23 920	23 920
05 03 10		მხედველობის ორგანოს სკრინინგული გამოკვლევა.	10 000	8 400	8 200
05 04 01	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა ჰოსპიტალური დახმარება	მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირება.	160 000	135 000	129 600
05 04 02		გეგმური კორონარული ანგიოგრაფია.	60 000	39 840	39 342
05 06 01	აფხაზეთიდან დევნილთა და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ პირთა სოციალური მხარდაჭერა	ჰოსპიტალური მომსახურების, ამბულატორიული ოპერაციული მკურნალობისა და სტაციონარულ პირობებში დიაგნოსტიკის თანადაფინანსების ხელშეწყობა.	660 000	742 000	731 949
05 06 02		ონკოპაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსების ხელშეწყობა.	70 000	75 000	74 999
05 06 03		აფხაზეთიდან დევნილთა მრავალპროფილური სკრინინგული კვლევა.	95 000	50 595	47 435
05 06 04		სამედიცინო დანიშნულების საგნების, ინდივიდუალური დაცვის	30 000	21 209	21 209

		და პაციენტთა მოვლის საშუალებების შეძენა.					
05 06 05		ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ ბავშვთა საკურორტო გამაჯანსაღებელი ბანაკი.	20 000		-		-
05 06 06		აფხაზეთიდან დევნილთა მედიკამენტებით მხარდაჭერა.	75 000		8 750		8 732
05 07	აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება	აფხაზეთიდან დევნილი და ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მომუშავე ექიმების და საშუალო სამედიცინო პერსონალის გადამზადება	10 000	5 000	5 000	4 500	4 500
05 08 02		აფხაზეთის ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების (მათ შორის, კოვიდ-სტაციონარების) მედიკამენტებით მხარდაჭერა.	15 000		15 000		14 995
05 08 03	ააიპ-ის მიერ განხორციელებული პროგრამები	„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირთა საკონსულტაციო-სადიაგნოსტიკო მომსახურების ანაზღაურება“;	85 000	175 000	110 000	147 342	95 471
05 08 04		„სარიტუალო მომსახურების ანაზღაურება“;	25 000		25 000		12 980
05 08 05		„ოკუპირებული აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი სამედიცინო დაწესებულებების აღჭურვა“.	50 000		25 000		23 896

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და
სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38

SAO.GE